პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 19 მარტი, 1949 წ. № 54 (8357). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

დიდი ჯილდო, დიდი მოვალეობა—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა კორეის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ა. თ. გოლკინის მოხსენება (მე-2 გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).
შ. ჭანუყვაძე—პარტიული განათლების მაღალი ხარისხისათვის (მე-3 გვერდი).
ჩხარის რაიონი საგაზაფხულო ხვნა-თესვის წინ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები. (მე-4 გვერდი).

დიდი ჯილდო, დიდი მოვალეობა

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ სახალხო მასწავლებელს, რომელიც დაუღალავად მუშაობს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის, მშრომელთა ფართო მასების განათლებისა და კულტურის დონის განუხრელი აღმავლობისათვის. საბჭოთა ქვეყანაში მასწავლებელი დგას იმ სიმაღლეზე, რომელზეც იგი „...არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“ (ლენინი).

სახალხო მასწავლებლის მიმართ ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის ახალი დადასტურებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 2 მარტის გრძანებულება, რომლითაც საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლების 6.365 მასწავლებელი და სახალხო განათლების სხვა მუშაკი ნამსახურობისა და უმჯობესი მუშაობისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მათ შორის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიიღო 855 მოწინავე მასწავლებელმა. აქრიგად, საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა შორის დაახლოებით ყოველი მეექვსე კაცი დაჯილდოებულია ორდენით და მედლით.

მასწავლებელთა ასეთ წარმატებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ არა მარტო განათლების დარგის მუშაკები, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. სკოლა ყოველთვის არის საბჭოთა ხალხის მზრუნველობისა და ყურადღების საგანი. საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხის ღონისძიებანი მუდამ მიმართულია იქითკენ, რომ სკოლაში შეიქმნას ყველა პირობა მოზარდი თაობის კარგი სწავლისათვის, მასწავლებელთა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ამის სრულიად საწინააღმდეგო სურათია კაპიტალისტურ ქვეყნებში. იმპერიალისტური სახელმწიფოები განუწყვეტლივ ზრდიან ასიგნობებს საბრძოლო ხასიათის ღონისძიებებზე ახალი ომის გასაჩაღებლად და შეუნელებლად აძცირებენ სახალხო განათლების ბქელს, „ეკონომიას“ ეწევიან მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესების ხარჯზე. ასეთია ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა პოლიტიკა.

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება სახალხო განათლების შემდგომი აღმავლობისათვის გათვალისწინებული ხარჯები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის მიერ დამტკიცებული 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 12,9 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე 1948 წელს. აქრიგად, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართულია საბჭოთა ხალხის კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის დონის განუხრელი აძაღლებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის მასწავლებლები კარგად ერკვევიან ამ მოვლენებში, და სტალინური მზრუნველობით აღფრთოვანებულნი იბრძვიან იმისათვის, რომ უფრო უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვონ მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის კეთილმობილურ საქმეში.

მთავრობის მაღალი ჯილდო ახალ საბრძოლო ამოცანებს უყენებს ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებლებს.

რა ამოცანებია ეს?

ჩვენი სკოლის ძირითადი ამოცანაა გადაჭრით გაუმჯობესოს სწავლების ხარისხი, მოსწავლეთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლით უზრუნველყოს კომუნისტური აღზრდის მტკიცედ დაკავშირება სწავლებასთან. მასწავლებელმა მთელი თავისი მუშაობა უნდა წარმართოს იმ მიმართულებით, რომ აღმოფხვრას კაპიტალისტური ნაშთები მოსწავლეთა შეგნებაში, აღზარდოს ისინი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, შეაყვაროს მათ ხალხის სასარგებლო შრომა, სოციალისტური საკუთრება, ჩაუნერგოს მტკიცე დისციპლინა, განდევნოს მათი შეგნებიდან ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი, რელიგიური ცრურწმენები და სხვ.

ჩვენი სკოლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს რუსული ენის სწავლების გაუჯობესება. მასწავლებელს მუდამ უნდა ახსოვდეს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მითითება „რომ არა მარტო მედალისმა, არამედ ყველა ახალგაზრდამ, რომელიც ამთავრებს საშუალო სკოლას, დამაკმაყოფილებლად იცოდეს რუსული ენა“.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მიჩურჩულები ბიოლოგიის საფუძველზე სკოლაში ბიოლოგიის სწავლებას. ბიოლოგიის თეორიული სწავლების მჭიდრო დაკავშირება სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან ჩვენი სკოლების აუცილებელი მოვალეობაა.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს ალკკ XVII ყრილობაზე სკოლებს მიუთითა, რომ საჭიროა მოსწავლე ახალგაზრდობაში ფართოდ გავაფართოოთ ტექნიკური პროპაგანდა და გავაღვივოთ მათი ინტერესი ტექნიკურ მეცნიერებათა შესწავლისადმი. ეს ავალებს პირველ რიგში ფიზიკის, ქიმიისა და მათემატიკის მასწავლებლებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ ტექნიკურ მეცნიერებათა თეორიული კურსის ღრმად შესწავლას, მის დაკავშირებას პრაქტიკასთან.

სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელია მასწავლებელი ყოველდღიურად იმაღლებდეს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს, განუხრელად იღრმავებდეს სპეციალობას, ეუფლებოდეს პედაგოგიურ ოსტატობას. სახალხო მასწავლებელს პირველ რიგში თვითონ მოეთხოვება იყოს განათლებული, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით აღჭურვილი. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას განახორციელოს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის დიადი ამოცანები, რომლებსაც მასწავლებლების წინაშე სახავენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

საქართველოს სს რესპუბლიკის მასწავლებლები, მაღალი ჯილდოებით აღფრთოვანებულნი, პარტიისა და მთავრობის მშობლიურ მზრუნველობას უპასუხებენ ახალი წარმატებებით, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა კორეის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

17 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა ტრაბლში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ბ-ნი კიმ ირ სენი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი პაკ ხენ ინი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ხონ მინ ხი, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ტენ დიუნ ტხიაკი, ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი ტიან სიუ, განათლების მინისტრი ბ-ნი პიაკ ნამ უნი, კავშირგაბმულობის მინისტრი ბ-ნი კიმ დენ დიუ, კორეის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი დიუ ენ ხა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი კიმ ჩანი.

საბჭოთა მხრივ სადილზე იყვნენ: ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიკოიანი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ს. ხრუშჩევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. ვიშინსკი, მ. ა. მენშიკოვი, ს. ვ. კაფტანოვი, ა. ა. გრომიკო, საბჭოთა ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტ. ფ. შტიკოვი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, არმიის გენერალი ს. მ. შტემენკო, ადმირალი ი. ს. იუმაშევი.

სადილმა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საკავშირო ალკკ მოსკოვის IX საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებული კონფერენცია

17 მარტს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კომკავშირის მოსკოვის IX საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებული კონფერენცია.

კონფერენციის საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ დელეგატებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს წინადადება — არჩეულ იქნას კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ერთი ფიქრით გამსჭვალული, ყველანი ფეხზე დგებიან. რამდენიმე წუთს გაგრძელდა ოვაცია დიდი ბელადის, საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობრისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

საკავშირო ალკკ მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტთა საანგარიშო მოხსენება გაკეთა საკავშირო ალკკ მოსკოვის და მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. პ. კრასავჩენკომ. (საკდესი).

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

გარდამავალი დროშა კასპის ცემენტის ქარხანას

კასპი. (საკ. კორ.). ამ დღეებში კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივს საზეიმოდ გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. საქართველოს მეცემენტეებმა ეს საამაყო ჯილდო გასული წლის მეოთხე კვარტალში მაღალნაყოფიერი მუშაობით მოიპოვეს. ქარხნის კოლექტივმა მე-4 კვარტალის საწარმოო გეგმა 127,6 პროცენტით შეასრულა, რითაც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამიმარჯვა და დროშასთან ერთად 94 ათასი მანეთი პრემია მიიღო.

ამ საპატიო ჯილდოს მიდებით აღფრთოვანებულმა ქარხნის კოლექტივმა იკისრა პირველი კვარტალის საწარმოო დავალება შეასრულოს 19 მარტისათვის, ხოლო მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველყოს ხუთწლიანი გეგმის შესრულება.

ხუთწლედი—სამ წელიწადში

ბოგრი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის კვების მრეწველობის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემაჯამებელმა ეიტრომ გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ხუთწლედის დავალება სამ წელიწადში შეასრულა, 44.000 მანეთით დააჯილდოვა. ქარხნის კოლექტივი 15.000 მანეთით დაჯილდოვეს ბაქოთვე სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრის ამხ. ზოტოვის გრძანებით. იმავე გრძანებით „კვების მრეწველობის ფრიადოსნის ნიშნით“ დაჯილდოებულია ქარხნის 13 სტახანოველი და ინჟინერ-ტექნიკოსი, „ქების სიგელით“ — 29 და „ქების ფურცლით“ — 14 კაცი.

ამასთან დაკავშირებით გორელება მეკონსერვეებმა იკისრეს ვადამდე შეასრულონ კონსერვების გამოშვების წლიური გეგმა.

ავტომაგზური საგზაო-ფონო სადგური

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტი აწყობს ავტომატურ სატელეფონო სადგურს 300 ნომრით. იგი მოემსახურება მაღაროებს და ქალაქის მსხვილ საწარმო-დაწესებულებებს. ამას გარდა, ეწყობა სადისპეტჩერო სატელეფონო კავშირი 40 ნომრით. მას საწარმოო დანიშნულება ექნება. იგი მსხვილი საწარმოო ობიექტების ხელმძღვანელებს დაუკავშირებს ქალაქისა და ტრესტის ხელმძღვანელ მუშაკებთან.

საკოლმეურნეო ელსადგურები

ვანი. (საეც. კორ.). სოფელ მაქელფონში კოლმეურნეებმა აუშენეს საკოლმეურნეო ელსადგური. ელსადგურის მშენებლობას ბალ დაიწყებენ ავრეთვე სოფელ ზედაციხესულორის მშრომელები.

ძ. თბილისის სკოლების მოწინავე პედაგოგები, რომლებიც ნამსახურობისა და უმჯობესი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 2 მარტის გრძანებულებით დაჯილდოებული არიან ლენინის ორდენით (მარცხნიდან მარჯვნივ) სხედან: ა. ხუსაინაძე—ქალთა მე-13 სკოლის დირექტორი, მ. ჯორჯაძე—ვაჟთა მე-15 სკოლის სახწავლო ნაწილის გამგე, გ. მჭედლიძე — სტალინის სახელობის ვაჟთა 1-ლი სკოლა; დგანან—ბ. ლაბარტაუაა—ვაჟთა მე-10 რუსული სკოლის დირექტორი; დ. პარაკაძე—ვაჟთა მე-7 სკოლა, ნ. კუჭიდლაშვილი — ქალთა მე-13 სკოლა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჯილდო მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის მინისტრის გრძანებით ლ. პ. ბერიას სახელობის ზესტაფონის ფერომანგანუმბეტონის ქარხნის კომკავშირული მდინარეები: ე. არეკაძე, დ. წერეთელი და ზ. შელეძე მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულ არიან „სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულის“ ნიშნით. კომკავშირელებმა ამ საპატიო ჯილდოს პასუხად იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი.

რადიოკვანძი კოლმეურნეობაში

სტალინირი. (საკ. კორ.). დიდი ხანი არ არის, რაც სტალინირის რაიონის სოფელ ბერულის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ბინები გაანთეს ილიჩის ნათურებმა. ბერულელებმა ამ დღეებში კიდევ ერთი კარგი სანუკვარი მიიღეს — კოლმეურნეობამ მოაწყო რადიოკვანძი.

რადიო უკვე გამართულია 40 კოლმეურნის ბინაში. მალე ყველა კოლმეურნის ბინაში მოეწყობა რადიო.

მეშახტეებისათვის აგებენ სანატორიუმ სახლებს

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა ბინებით უზრუნველყოფისათვის ტყიბულში დიდი რაოდენობით იქნა შემოზიდული სტანდარტული სახლები.

ამჟამად მთლიანად დამთავრდა ოთხი ორსართულიანი რვაბინიანი საოჯახო სტანდარტული სახლის დადგმა, რომელთა საერთო საცხოვრებელი ფართობი 1.400 კვადრატულ მეტრს შეადგენს. თვითეული საოჯახო ბინა სამი ფართო და ნათელი ოთახისაგან შედგება.

ზეთსახდელი ქარხანა

სიღნაღი. (საკ. კორ.). სოფელ ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ ახლახან დაამთავრა ზეთსახდელი ქარხნის მშენებლობა.

ქარხანა დღეღამეში 3-4 ტონა მზესუმზირას გადაამუშავებს.

ახალი შენობა პედაგოგიური ინსტიტუტისათვის

თბილისში, ვაკეში, წელს იწყება პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის ახალი დიდი შენობის მშენებლობა.

ფასადის ნაწილით ინსტიტუტის შენობა გამოა მარის ქუჩაზე. მშენებლობისათვის გამოყოფილია 2.000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი.

ინსტიტუტის ახალი შენობის აგება მომავალი წლის ბოლოს უნდა დამთავრდეს.

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

სტახანოველთა თებერვლის მუშაობის შედეგები

ავტოსარემონტო ქარხანა

ცნობილი ამწყობი ზეინკალი პ. მუხიგულაშვილი სიხარულით შეხვდა კიროველი სტახანოველის ა. ბენდიანიშვილის გამოწვევას. მან იკისრა წლის ორნახევარი წლის ნორმა გამოიმუშაოს და 3.000 მანეთი ეკონომია მისცეს ქარხანას. თებერვალში პ. მუხიგულაშვილმა ძირითადი რემონტი გაუკეთა ავტომობილს „ზის-16“, დაამზადა საავტომობილო დეტალები, აწყო 2 ავტობუსი და ამრიგად დაკალდა 322 პროცენტით გაანადღდა. კარგად იმუშავეს ავრეთვე ზეინკლებმა პ. ნოვოსელცო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ა. თ. გორკინის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში პრეზიდიუმმა მთელი რიგი ბრძანებულებანი გამოსცა, რომლებიც, სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად, უნდა დამტკიცოს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ.

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა მოგახსენოთ ბრძანებულებანი, რომლებიც-თაც, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგენებით, მოხდა სსრ კავშირის ცალეულ სამინისტროთა გაერთიანება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 23 ივლისის ბრძანებულებით გააერთიანა სასურსათო რეზერვების სამინისტრო და მატერიალური რეზერვების სამინისტრო სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვების საკავშირო სამინისტროდ.

1948 წლის 29 ივლისის ბრძანებულებით პრეზიდიუმმა შექმნა სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო. ეს სამინისტრო შიიქმნა სატყეო მრეწველობის სამინისტროს, ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდროლიზური და სულფიტ-სპირტის მრეწველობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე.

შაი მეტალურგიის სამინისტროს და ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ბაზაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 29 ივლისის ბრძანებულებით შეიქმნა სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულებით ქიმიური მრეწველობის სამინისტრო და რეზინის მრეწველობის სამინისტრო გაერთიანა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროდ.

1948 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულებით გაერთიანებულ იქნენ:

მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და საფეიერო მრეწველობის სამინისტრო სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ;

აღმოსავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტრო და დასავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტრო—სსრ კავშირის თევზის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

ამავე დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა:

სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „გლავგაზტოპპრომის“ და „გლავნეფტეგაზსტროის“ და სსრ კავშირის სახელმწიფო მომარაგებასთან არსებული „გლავნეფტეგაზსნაბის“ ბაზაზე—სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტრო;

დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სთობობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ბაზაზე—სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო.

1949 წლის 20 იანვრის ბრძანებულებით პრეზიდიუმმა კვების მრეწველობის სამინისტრო და საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო გააერთიანა სსრ კავშირის კვების მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 9 მარტის ბრძანებულებით სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „გლავმაშსტროი“ გაერთიანა მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროდ.

ხსენებული სამინისტრები გაერთიანებულ იქნენ მრეწველობის ამ დარგთა მუშაობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად მათი შემდგომი განვითარების, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდების მიზნით, აგრეთვე სპეციალისტთა გაზრდილი კვალიფიციური კადრების უკეთ გამოყენებისა და მმართველობის აპარატის გაიაფების მიზნით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 1 მარტს გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც გაუქმებულ იქნა სამედიცინო მრეწველობის სამინისტრო, რომელიც გარდაექმნა სამედიცინო მრეწველობის მთავარ სამმართველოდ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში.

წარმოვადგენთ რა ამ ბრძანებულებებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად, წინადადება შემოგაქვს შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 77-ე და 78-ე მუხლებში, რომლებშიც მოცემულია საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა სია.

სსრ კავშირის სამინისტროების გაერთიანებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა სსრ კავშირის მინისტრები. 1948 წლის 23 ივლისის ბრძანებულებით სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვების მინისტრად დაინიშნა ამხ. დიმიტრი ივანეს-ძე **ფომინი.**

1948 წლის 29 ივლისის ბრძანებულებით სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრად დაინიშნა ამხ. გიორგი მიხეილის-ძე **ორლოვი.** იმავე რიცხვის ბრძანებულებით სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის მინისტრად დაინიშნა ამხ. ივანე თევადროსის-ძე **თევოსიანი.**

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრად 1948 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულებით დაინიშნა ამხ. მიხეილ გიორგის-ძე **პერვუხინი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე **კოსიგინი** დაინიშნა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრად.

1948 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულებებით დანიშნულ იქნენ სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის მინისტრად — ამხ. ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **ბაიბაკოვი,** სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრად — ამხ. ალექსანდრე აკიმის-ძე **ოშკოვი** და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრად — ამხ. ალექსანდრე თევდორეს-ძე **ზასადკო.**

1949 წლის 20 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრად დაინიშნა ამხ. ვასილ პეტრეს-ძე **ზოტოვი.**

1949 წლის 9 მარტის ბრძანებულებით მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრად დაინიშნა ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **დიგაი.**

მეოთხე სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, გარდა ამისა, გამოსცა ბრძანებულებანი სსრ კავშირის ზოგიერთ მინისტრთა განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ.

1948 წლის 1 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვასილ გაბრიელის-ძე **ყავორონკოვი** დანიშნა სსრ კავშირის მინისტრად და გათავისუფლა ამ მოვალეობისაგან ამხ. **ა. ვ. ლიუბიმოვი,** მისი არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო.

1948 წლის 30 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრად დაინიშნა ამხ. ნიკოლოზ დემიანის-ძე **პსუტცევი.** ამავე ბრძანებულებით ამხ. **კ. ი. სერგეიჩუკი** განთავისუფლებულ იქნა კავშირგაბმულობის მინისტრის მოვალეობისაგან.

1948 წლის 30 მარტს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლა ამხ. **ა. ა. შირშოვი.** სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრად 1948 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებულებით დაინიშნა ამხ. ნიკოლოზ ვასილის-ძე **ნოვიკოვი.**

1948 წლის 5 ივნისის ბრძანებულებით ამხ. ბორის პავლეს-ძე **ბეშჩევი** დაინიშნა სსრ კავშირის გზათა მინისტრად. ამავე ბრძანებულებით ამხ. **ი. ბ. კოვალიოვი** განთავისუფლებულ იქნა გზათა მინისტრის მოვალეობისაგან, სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო.

1948 წლის 20 ნოემბერს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსანდრე ივანეს-ძე **ბოგინი** დანიშნა სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის მინისტრად და ამ მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. **გ. პ. მოტოვილოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 4 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ვ. მ. მოლოტოვი** გაათავისუფლა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა ამხ. ანდრია იანუარის-ძე **ვიშინსკი.**

1949 წლის 4 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ა. ი. მიქოიანი** გაათავისუფლა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრად დანიშნა ამხ. მიხეილ ალექსის-ძე **მენშიკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 8 მარტის ბრძანებულებით ამხ. ალექსანდრე ილარიონის-ძე **ეფრემოვი** დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და გათავისუფლა იგი დაზგათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის მინისტრად 1949 წლის 8 მარტის ბრძანებულებით დაინიშნა ამხ. ანატოლი ივანეს-ძე **კოსტოუსოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 5 მარტის ბრძანებულებით ამხ. **ნ. ა. ვოზნესენსკი** გათავისუფლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და 1949 წლის 7 მარტის ბრძანებულებით — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ 1949 წლის 5 მარტის ბრძანებულებით დაინიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მაქსიმე ზაჭარიასძე **ბაბუროვი.**

სსრ კავშირის კონსტიტუციის 49-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამ ბრძანებულებებს ადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულებით დამტკიცა რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენება ხაბაროვსკის მხარის შემადგენლობიდან ამურის ოლქის რსფსრ დამოუკიდებელ ოლქად გამოყოფის შესახებ.

წარმოვადგენთ რა ამ ბრძანებულებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად, წინადადება შემოგაქვს შეტანილ იქნას შესაბამისი დამატება სსრ კავშირის კონსტიტუციის 22-ე მუხლში, რომელშიც ჩამოთვლილია რსფსრ შემადგენლობაში შემავალი მხარეები, ოლქები, ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განვლილ პერიოდში ზოგიერთი ცვლილებანი მოახდინა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში. სსრ კავშირის კონსტიტუციის 105-ე მუხლის შესაბამისად პრეზიდიუმს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემოაქვს ეს ბრძანებულებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 25 აგვისტოს ამხ. **ი. ტ. გოლიაკოვი** გათავისუფლა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დააკისრა ამხ. **ა. ა. ვოლინს.**

პრეზიდიუმს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემოაქვს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ ამხ. ანატოლი ანტონის-ძე ვოლინის არჩევის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ზოგიერთი წევრის გამოკლებასა და მოვალეობისაგან განთავისუფლებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 2 აგვისტოს და 10 დეკემბერს შეავსო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრთა შემადგენლობა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემოაქვს წინადადება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩეულ იქნან: სერგი ვალენტინის-ძე ბაკშეევი, სტეფანე პავლეს-ძე ბიტიუკოვი, ვასილ ანდრიასძე ბორისენკო, ნიკოლოზ ნიკიფორეს-ძე გუსევი, გრიგოლ იაკობის-ძე ზაადინი, ევლამპი ლავრის-ძე ზეიდინი, გრიგოლ ელისეს-ძე კოვალენკო, ნიკოლოზ კუზმას-ძე მოროზოვი, ვალენტინ ევგენის-ძე პანიუგინი, ვასილ ვასილის-ძე სტუჩეკი, ალექსი თევდორეს-ძე ტარასოვი, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ჩიპცოვი, დიმიტრი დიმიტრის-ძე ჩერტკოვი, თევდორე მაქსიმეს-ძე იაკოვლევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 20 ივლისსა და 3 დეკემბერს აირჩია სსრ კავშირის სპეციალური სასამართლოები — სამხედრო ტრიბუნალები, რკინიგზის ტრანსპორტის სახაზო სასამართლოები და წყალთა ტრანსპორტის სახაზო სასამართლოები.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 105-ე მუხლის შესაბამისად პრეზიდიუმს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემოაქვს ბრძანებულებანი სსრ კავშირის სპეციალური სასამართლოების არჩევის შესახებ.

პრეზიდიუმს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემოაქვს აგრეთვე შემდეგი ბრძანებულებანი:

1948 წლის 13 ივლისის ბრძანებულება „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-8 და 23-ე მუხლების შეცვლისა და 25-ე მუხლის გაუქმების შესახებ“; 1948 წლის 15 ივლისის ბრძანებულება „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-10 მუხლის შეცვლის შესახებ“; 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულება „მოქალაქეთა მიერ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობის უფლების შესახებ“.

პრეზიდიუმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად აგრეთვე 1948 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებას „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ“, რომლის თანახმადაც მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელიც საარჩევნო უფლებით სარგებლობს და არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 23 წელი.

ახლა ნება მიბოძეთ წაგიკითხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

კანონი სსრ კავშირის ზოგიერთ სამინისტროთა გაერთიანების, შექმნისა და ლიკვიდაციის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 23 იანვრის ბრძანებულება „სასურსათო რეზერვების სამინისტროს და მატერიალური რეზერვების სამინისტროს სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვების საერთო-საკავშირო სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 29 ივლისისა „სატყეო მრეწველობის სამინისტროს და ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 29 ივლისისა „სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1948 წლის 2 აგვისტოსი „ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და რეზინის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის საფეიერო მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „გლავგაზტოპპრომის“ და „გლავნეფტეგაზსტროის“ და სსრ კავშირის სახელმწიფო მომარაგების მთავარ სამმართველოსთან არსებული „გლავნეფტესნაბის“ სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სთობობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1949 წლის 20 იანვრისა „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 29 ივლისისა „სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1948 წლის 29 ივლისისა „ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და რეზინის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის საფეიერო მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „გლავგაზტოპპრომის“ და „გლავნეფტეგაზსტროის“ და სსრ კავშირის სახელმწიფო მომარაგების მთავარ სამმართველოსთან არსებული „გლავნეფტესნაბის“ სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სთობობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1949 წლის 9 მარტისა „სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „გლავმაშსტროის“ სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 1 მარტისა „სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს გაუქმების შესახებ“;

2. შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 77-ე და 78-ე მუხლებში, ამასთან ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 77. საერთო-საკავშირო სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:

საავიაციო მრეწველობისა;
საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობისა;
საგარეო ვაჭრობისა;
შეიარაღებისა;
გეოლოგიისა;
სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვებისა;
დამზადებათა;
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობისა;
მეტალურგიული მრეწველობისა;
სახლთამო ფლოტისა;
ნავთის მრეწველობისა;
კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობისა;
გზათა;
სამდინარო ფლოტისა;
კავშირგაბმულობისა;
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა;
დაზგათმშენებლობისა;
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობისა;
მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობისა;
მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობისა;
გემთმშენებელი მრეწველობისა;
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა;
შრომითი რეზერვებისა;
მძიმე მანქანათმშენებლობისა;
ქვანახშირის მრეწველობისა;
ქიმიური მრეწველობისა;
ელექტრომრეწველობისა;
ელექტროსადგურთა“.

„მუხლი 78. საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს ეკუთვნიან:

შინაგან საქმეთა;
შეიარაღებული ძალებისა;
უმაღლესი განათლებისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საგარეო საქმეთა;
კინემატოგრაფიისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
სატყეო მეურნეობისა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
კვების მრეწველობისა;
საშენი მასალების მრეწველობისა;
თევზის მრეწველობისა;
სოფლის მეურნეობისა;
საბჭოთა მეურნეობებისა;
ვაჭრობისა;
ფინანსთა;
იუსტიციისა“.

„სსრ კავშირის მინისტრთა დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ“.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს** — დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ამის შესახებ, რომ დაინიშნენ:

სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრად — ვასილ გაბრიელის-ძე **ყავორონკოვი;**

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრად — ნიკოლოზ დემიანის-ძე **პსუტცევი;**

სსრ კავშირის გზათა მინისტრად — ბორის პავლეს-ძე **ბეშჩევი;**

სსრ კავშირის სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვების მინისტრად — დიმიტრი ივანეს-ძე **ფომინი;**

სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრად — გიორგი მიხეილის-ძე **ორლოვი;**

სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის მინისტრად — ივანე თევადროსის-ძე **თევოსიანი;**

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრად — მიხეილ გიორგის-ძე **პერვუხინი;**

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრად — ნიკოლოზ ვასილის-ძე **ნოვიკოვი;**

სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის მინისტრად — ალექსანდრე ივანეს-ძე **ბოგინი;**

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრად — ალექსი ნიკოლოზის-ძე **კოსიგინი;**

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის მინისტრად — ნიკოლოზ **კონსტანტინეს-ძე ბაიბაკოვი;**

სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრად — ალექსანდრე **აკიმის-ძე ოშკოვი;**

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრად — ალექსანდრე თევდორეს-ძე **ზასადკო;**

სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრად — ვასილ **პეტრეს-ძე ზოტოვი;**

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად — ანდრია **იანუარის-ძე ვიშინსკი;**

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრად — მიხეილ ალექსის-ძე **მენშიკოვი;**

სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის მინისტრად—ანატოლი ივანეს-ძე **კოსტოუსოვი;**

სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრად—ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **დიგაი.**

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ა. ი. ეფრემოვის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ამხ. ალექსანდრე ილარიონის-ძე **ეფრემოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ა. ვოზნესენსკის განთავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ“.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 23 ივლისის ბრძანებულება „სასურსათო რეზერვების სამინისტროს და მატერიალური რეზერვების სამინისტროს სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვების საერთო-საკავშირო სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 29 ივლისისა „სატყეო მრეწველობის სამინისტროს და ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 29 ივლისისა „სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1948 წლის 2 აგვისტოსი „ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და რეზინის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის საფეიერო მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „გლავგაზტოპპრომის“ და „გლავნეფტეგაზსტროის“ და სსრ კავშირის სახელმწიფო მომარაგების მთავარ სამმართველოსთან არსებული „გლავნეფტესნაბის“ სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სთობობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1949 წლის 20 იანვრისა „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 29 ივლისისა „სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1948 წლის 29 ივლისისა „ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და რეზინის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის საფეიერო მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „გლავგაზტოპპრომის“ და „გლავნეფტეგაზსტროის“ და სსრ კავშირის სახელმწიფო მომარაგების მთავარ სამმართველოსთან არსებული „გლავნეფტესნაბის“ სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სთობობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1949 წლის 9 მარტისა „სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „გლავმაშსტროის“ სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 1

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

აწყობენ მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში სოციალისტური შრომის გმირების გამოცდილების პოპულარიზაციის მიზნით სამტრედიის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ამას წინათ მოიწვია კოლმეურნეთა საერთო კრება. მოსმენილი იქნა აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ე. არველაძის, სოციალისტური შრომის გმირების ი. გვალიასა და ნ. ჩაჩავას მოხსენებანი. ამ სახელოვან სტახანოველთა წარმატებებსა და მუშაობის მეთოდებზე მოგვითხრობს სამტრედიის რაიონული გაზეთი, „სოციალისტური შეტევა“. გაზეთის 26 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია სოფელ ნორიოს (აბაშის რაიონი) ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის სოციალისტური შრომის გმირის ი. ჩაჩავას წერილი — „ენერგიული შრომის შედეგად“.

ამბ. ი. ჩაჩავა წერს:

„1948 წელს მე მომიჩინეს მცირემოსავლიანი ბერრი ბიწა და დასახმარებელად ბრიგადას მოგვცეს 51,6 ჰექტარი ფართობი, საიდანაც წარსულ წლებში ჰექტარზე 8 ცენტნერ სიმინდს ძლივს იღებდნენ. ამ ნაკვეთიდან დავამუშავეთ უხმოსავლიანი 10 ჰექტარი ფართობი, რომლიდანაც რგოლის წევრებმა ნაადგილ წესიერად დამუშავების შედეგად 80 ცენტნერი სიმინდი მიიღეს თითო ჰექტარზე.

თვითონ მე 1 ჰექტარზე მივიღე 93 ცენტნერი სიმინდი, რისთვისაც პრემიად 2 ტონა სიმინდი მერგო. შრომადღეზე მხედა 7,5 კილოგრამი, პრემია კიდევ სხვაა.

კოლმეურნეობაში თავდადებული შრომით მე და ჩემმა მეუღლემ პრემიის ჩათვლით 9 ტონა სიმინდი მივიღეთ. ახეთმა შრომამ საშუალება მომცა ყოფილი ღარიბი ვლეში შედარებული გავმხდარიყავი. ავიშენე ოთხი თვალი სახლი, სამზადი, სახიმინდე და მსუბუქი მანკანა „მოსკვიჩიც“ კი შევიძინე. შემდეგშიც დაფლანგად ვიმუშავებ უკეთესი მაჩვენებლების მიღწევისათვის“.

გაზეთის ამავე ნომერში მოთავსებულია სოფელ ნაესაკოოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის სოციალისტური შრომის გმირის ე. არველაძის წერილი — „როგორ მივაღწიეთ საოკეორდო მოსავალს“. წერილის ავტორი მკითხველებს აცნობს იმ მეთოდებს, თუ როგორი მიაღწია წარმატებას და ბოლოს ასკვნის.

„წელს გადაწყვეტილი გვაქვს 80 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე 70-75 ცენტნერი სიმინდი მივიღოთ“.

მეთერთმეტეკლასელთა რაიონული შეკრება

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კ. ჩარკვიანი კომკავშირის XVII ყრილობაზე 1948 წლის 27 დეკემბერს მიგვითითებდა, რომ „ჩვენს საშუალო სკოლას აქვს ერთი მეტად სუსტი მხარე: მის კედლებში საუკეთესო მოსწავლეთა დიდი ნაწილიც კი ვერ ასწრებს შეიყვაროს რომელიმე საგანი და აირჩიოს მომავალი პროფესია“. ამხანაგი ჩარკვიანი თვითონვე, რომ ჩვენში გავრცელებულია უფრო მეტად სამედიცინო მეცნიერებისადმი მიდრეკილება, მაშინ როდესაც „განვიცდით სხვადასხვა სპეციალობის ინჟინრების, აგრონომების ნაკლებობას. კიდევ უფრო საგრძნობია მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების ნაკლებობა ფიზიკაში, ქიმიაში და ზოგიერთ სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინაში“.

ამას წინათ ქუთაისის რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებაში მოეწყო მეთერთმეტკლასელთა რაიონული შეკრება. შეკრებაზე პროფესიის არჩევის შესახებ მოხსენებით გამოვიდა განათლების განყოფილების გამგე ამხ. კ. შავგულიძე.

„შეკრებაზე სიტყვით გამოსულმა კვახმეირის საშუალო სკოლის XI კლასის წარჩინებულმა მოსწავლემ ალა ბებეფაშვილმა,—წერს გაზეთი „სიმართლე“,—განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს გახდეს ინჟინერი-ენერგეტიკოსი.

თავდადები მიტაკენდა ფიზიკა და ქიმია,—თქვა ქვეტირის საშუალო სკოლის ხუთოსანმა მოსწავლემ ლენა ბაბუაშვილმა, — გადაწყვეტილი მაქვს გავხდე ინჟინერი-ტექნოლოგი. ბარდუბნელ ხუთოსან მოსწავლეს ლ. ქოჩიაშვილს სურს არკადუტარი გახდეს და სხვ.

აღნიშნულ შეკრებაზე გამოირკვა, რომ ქუთაისის რაიონის მეთერთმეტეკლასელთა დიდი ნაწილი ტექნიკურ ინსტიტუტებში აპირებს სწავლის განგრძობას. ბევრ მათგანს სურვილი აქვს შეეიღებ მოსკოვის და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში“.

მდინარე ჭანისწყალზე საჭიროა საავტომობილო ხიდი

ზუგდიდსა და ჩხოროწყუს შუა მხოლოდ 25 კილომეტრია. ამ ორ რაიონულ ცენტრს კარგი გზატკეცილიც აკავშირებს, მაგრამ იმის გამო, რომ სოფელ ჯიხასკართან მდინარე ჭანისწყალზე ხიდი არ არის, მიმოსვლა ძალიან გაძნელებულია. ზუგდიდიდან წალენჯიხის გავლით ჩხოროწყუმდე გზა მეტად აღმართ-დაღმართიანია. ამიტომ სამგზავრო ავტომანქანები დიდან მარშრუტით ზუგდიდი-ცხაკაიას-ჩხოროწყუ. ზუგდიდიდან ავტომანქანით ჩხოროწყუში რომ მიხვიდე, 80 კილომეტრზე მეტი უნდა გაიარო.

მდინარე ჭანისწყალზე საავტომობილო ხიდის აგება არც ისე ძნელი საქმეა. ზუგდიდისა და ჩხოროწყუს რაიონების ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა ითაკონ ეს საქმე.

ვ. მესხია

ჩხარის რაიონი საგაზაფხულო ხვნა-თესვის წინ

რაიონის კოლმეურნეობები წლების განმავლობაში სიმინდის, ყურძნის და სხვა კულტურების მეტად ცუდ მოსავალს ღებულობენ. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობებში ცუდად მუშაობენ, არ იცავენ აგროტექნიკურ წესებს, ირღვევა შრომის დისციპლინა.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩხარის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მიმდინარე წელს უნდა გაშენდეს 40 ჰექტარი ახალი ვენახი, 60 ჰექტარი ჩაი. ამ კულტურებისათვის ნიადაგი უკვე მომზადებულია. წელს დამყნილი იქნება 800.000 ძირი ვაზი, ხოლო მეევნახეებმა იკისრეს დამატებით დაამყნონ 100.000 ძირი. ორი წლის მანძილზე სიმინდის ფართობი გადიდდება 600-700 ჰექტარით, 1955 წლისათვის ვენახის ფართობი კოლმეურნეობებში 1.050 ჰექტარს მიაღწევს; 1953 წლისათვის ჩაის ფართობი გადიდდება 511 ჰექტარამდე, ხოლო მისი მოსავლიანობა 1957 წელს მიაღწევს 700-800 ტონას.

მოსავლიანობის გადიდებისათვის გათვალისწინებულია აგროდონისძიებათა ზუსტად განხორციელება, სოფლად მექანიზაციის განვითარება. წელს მუშაობას შეუდგება ახლად შექმნილი სამანქანო-სატრაქტორო სადგური, გაყვანილ იქნება ეწრის არხი, რომელიც მორწყავს 700 ჰექტარს, ამავე დროს მოწყობილ იქნება წვრილი არხები. ყანებში შეიტანენ 12.000 ტონა ორგანულ სასუქს, ჩაის პლანტაციებში და ვენახში კი—მინერალურ სასუქს.

გეგმები კარგია, მაგრამ მათი შესრულებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის ყველგან გაჩაღებული. წელს ჯაშთა გაანალიზის მიზნით უნდა დაითესოს აჯამეთის თეორი სიმინდი—68 ჰექტარზე, კაჟოვანა — 42 ჰექტარზე, მაგრამ დღემდე არა აქვთ აჯამეთის თეორი სიმინდის თესლი 11 ცენტნერი, კაჟოვანა—13 ცენტნერი. აკლიათ აგრეთვე 38 ცენტნერი სოიის თესლი. ახლაც არ არის გამორკვეული, თუ საიდან მიიღებენ ამ თესლს. ადგილობრივი სასუქი ყანებში გაზაფხულზე უნდა შეიტანონ 8.000 ტონა, 10 მარტისათვის შეტანილი იყო მხოლოდ 1.000 ტონამდე. პირველ კვარტალში კოლმეურნეობებისათვის გამოყოფილია მინერალური სასუქი, მაგრამ მის გადმოტანას რატომღაც არ ჩქარობენ.

სოფელ ღვანკითის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ქოჩიაშვილი) სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები დროულად შეკაკთეს. ყოველდღიურად მინდვრად მუშაობს 20-25 უღელი ხარი, საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობს ასამდე შრომისუნარიანი კოლმეურნე და მოზარდი. ამ კოლმეურნეობაში წელს პირველად რაიონში შემოღებულ იქნება ნათესბალახიანი თესლბრუნვა. უნდა დაითესოს აჯამეთის თეორი სიმინდი, მაგრამ თესლი დღემდე არა აქვთ მიღებული. ნაკლია ისიც, რომ მინდვრად სასუქის გატანა არც კი დაუწყიათ (შესატანი აქვთ 360 ტონა). ვენახისათვის ქიგო აკლიათ 65 ათასი ცალი. მოუწესრიგებელია შრომის აღრიცხვა. მიმდინარე წლის ნამუშევარი საანგარიშო დარგის მუშაკებს დღემდე არ მოუთხოვიათ ბრიგადირებისაგან, ჯერ არცერთი უწყისი არ არის გახსნილი. ამ კოლმეურნეობაში შარმან შრომადღეების საკალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 59 კაცს.

მომზადებული შეხვდნენ საგაზაფხულო სამუშაოებს სოფელ რუფოთის ბუდიონის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობები. ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრება მასობრივად გავიდნენ მინდვრად სამუშაოდ. დაიწყო ვაზის გასხვლა. ყოველდღიურად ხვნა-თესვაზე 40-ზე მეტი უღელი ხარი მუშაობს. კოლმეურნეობის საწარმოო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა შედგენილია. მოწესრიგებულია შრომის აღრიცხვა. ბუდიონელები წელს გააშენებენ 4,5 ჰექტარ ვენახს, აქედან გაზაფხულზე — 2 ჰექტარს. საამისოდ ნიადაგი მომზადებულია.

ამ კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადებმა და რგოლებმა პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს. პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა ბ. ჭანკვეტაძემ პირობა დადო 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწიოს 25 ცენტნერი სიმინდი, 32 ჰექტარზე საშუალოდ —20 ცენტნერი, დანარჩენზე — 16 ცენტნერი. ეს ბრიგადა წარმატებით შეუდგა საგაზაფხულო სამუშაოებს. ბზნელი დ. დიაკონიძე დღიურად ორ ნორმას ასრულებს. ასეთივე მაჩვენებელი აქვს დ. გოგბერაშვილს. მესამე ბრიგადის მხვნელი ნ. ჭანკვეტაძე, ხოლო მეორე ბრიგადიდან მხვნელი ვ. აბესაძე დღიურ ნორმას 150-200 პროცენტით ასრულებენ.

რუფოთის სასოფლო საბჭოში სამი კოლმეურნეობაა. სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ვ. მურადაშვილი) კარგად ეხმარება ამ კოლმეურნეობებს, დიდ ყურადღებას აქცევს თესვისათვის მზადებას. აქ, სისტემატურად იხილავენ სესიაზე და აღმასკომის სხდომებზე კოლმეურნეობებში საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებულ საკითხებს.

რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა თესვასაც შეუდგა. მაგალითად, ვორეშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში დათესილია 55 ჰექტარი, კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში—40 ჰექტარი, ხოლო რუფოთის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში სოია დათესეს 8 ჰექტარზე.

საგაზაფხულო სამუშაოები ჩაღდება. ამოცანა ის არის, რომ ჩხარელმა კოლმეურნეებმა წელს გვიჩვენონ თავდადებული შრომის მაგალითები, ქვეთრად გადიდონ სიმინდის, ყურძნის, ჩაის და სხვა კულტურათა მოსავლიანობა.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ვალდებული არიან გაუუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება კოლმეურნეობებისადმი.

ნ. ჯანჯღლავა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

თბილისი. მარგარინის ქარხანაში ყოველდღიურად ხდება სამარგარინე ნედლეულის შემოწმება და შემდეგ მზა პროდუქციის ხარისხის შემოწმება. / სურათზე: ტექნიკური კონტროლიორი ნ. შოვნაძე და ინჟინერი მარიამ საკოვა ამოწმებენ მზა პროდუქციის ხარისხს.

ფოტო რ. ეკოფოვისა

მეჯი ყურადღება საბჭოთა ვაჭრობის საკითხებს

ვანის რაიკოოპკავშირმა (გამგეობის თავმჯდომარე შ. მიხელაშვილი) მარშან საქონელბრუნვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და მოსახლეობას 62 პროცენტით მეტი საქონელი მიჰყიდა, ვიდრე 1947 წელს. საპაონო გამოსაღების აკრეფის გეგმაც წარმატებით შესრულდა. ერთიორად შემცირდა მიმოქცევის ხარჯები.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად რაიკოოპკავშირის მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებანიც აქვს. ხშირად რაიონში შემოაქვთ საკონელი მოსახლეობის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად. ამის შედეგად მაღაზიებსა და ფარდულებში ჩაწოლილია დიდძალი საქონელი. მაგალითად, „ბელავტექსტილსბიტის“ ქუთაისის ბაზამ (დირექტორი გ. უგულავა) ვანის რაიონის კოოპკავშირს გაუგზავნა საქონელი, რომლის მოთხოვნილებაც მოსახლეობაში არ არის. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ქალის ყველა პალტო ერთი და იმავე ზომისაა (№ 48), მათ შორის ბევრია უზარისხო და ცუდად შეკერილი. ამ პალტოებს ობილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მარკა აქვს.

ხშირად მაღაზიებსა და ფარდულებში დაცული არ არის საკვალდებულო ასორტიმენტი, ნაკლებია პირველი მოთხოვნილების საჭიროების საგნები. სოფელ ყუმრის, ქვედა გორის და სხვ., მაღაზიებში საკვალდებულო ასორტიმენტიდან შემოწმების დროს არ ჰქონდათ ნაფთი, მარილი, საპონი, ღილები, ურმის საცხი, ქალის კოსტიუმი, ქალის პალტო და სხვ., მაშინ როდესაც ასეთები ბევრია /რაიკოოპკავშირის საწყობში.

არის მომხმარებელთა მოტყუების ფაქტებიც. მაგალითად, ამ დღეებში რაიკოოპკავშირის საკვაჭრო განყოფილების გამგემ ბ. ღვინტაძემ „საქვაჭრობის“ სამტრედიის განყოფილებიდან უფფაქტურად წამოიღო 2,5 ტონა თევზი, რაც პირდაპირ სოფელ დიხაშოს მაღაზიაში მიიტანა. მან მაღაზიის გამგეს და გამყიდველს დავალება მისცა კილოგრამი თევზი 13 მანეთად და 80 კაპიკად გაეყიდათ. მაღაზიის გამგე ე. ხუნდიაშვილი და გამყიდველი ვ. ეფრემიძე კილოგრამ თევზს 14 მანეთად ჰყიდდნენ. სინამდვილეში კი გამორიკვა, რომ ეს თევზი კილოგრამი 8 მანეთი და 40 კაპიკი ღირდა.

ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ რაიკოოპკავშირის საკვაჭრო სისტემაში ჯერ კიდევ მოიპოვებიან საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევნი.

რაიკოოპკავშირის მთელ რიგ მაღაზიებს, საწყობებს, ფარდულებს რემონტი ესაჭიროება.

რაიონში არიან არტელები, რომლებიც მომსახურებას უხდა უწევდნენ მოსახლეობას. არტელია „ვანიკოოპკავშირიმა“ (თავმჯდომარე ვ. ტყე ბელაშვილი) გასულ წელს ვაჭრობის გეგმა 6,8 პროცენტით შეასრულა. ამის მიზეზია არტელის გაგეობის უპასუხისმგებლო მუშაობა და საქართველოს „კოოპინიკავშირის“ პრეზიდიუმის სუსტი ხელძღვანელობა. არტელის სისტემაში ყოველთვის უხეშად ირღვეოდა საბჭოთა ვაჭრობის წესები; შემოწმების დროს გამოირკვა, რომ არ წარმოება ფულადი შემოსავლის აღრიცხვა, დამზადებული საქონლის ხარისხი ცუდია. ასევე მოუქნელად მუშაობს არტელი „პირველი ნაბიჯი“ (თავმჯდომარე ი. თეთრაშვილი). ამ არტელმა გასული წლის გეგმა მხოლოდ 17,5 პროცენტით შეასრულა. 22.300 მანეთის ზარალით დაამთავრა 1948 წელი არტელმა „იმედმა“ (თავმჯდომარე ვ. დიასამიძე). აღნიშნულმა არტელებმა მიმდინარე წელი კიდევ უფრო ცუდი მაჩვენებლებით დაიწყეს.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ვალდებული არიან ყოველდღიურად იმუშაონ საბჭოთა ვაჭრობის გაწმენდისა და მოსახლეობის მომარაგების სისტემატური გაუმჯობესების საკითხებზე, მტკიცედ შეასრულონ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ უფრო ღრმად ჩაეწვდეთ ვაჭრობის საკითხებს, ვიბრძოლოთ ბოგდანაგა - დატაკების შემთხვევათა აღმოფხვრისა და მომხმარებელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ა. გოცირიძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

პარტიული განათლების მაღალი ხარისხისათვის

ღრმად აქვს რა შეგნებული პარტიული განათლების უდიდესი მნიშვნელობა პარტიის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში, საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიონული კომიტეტი სერიოზულ მუშაობას ეწევა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

გასულ სასწავლო წელს პოლიტსკოლა დაამთავრა 147 მსმენელმა, „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი წრე — 138 მსმენელმა, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრე—166 მსმენელმა, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად მოეწყო 319 ლექციო, 158 ჯგუფური კონსულტაცია, 113 თეორიული გასაუბრება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითების შესაბამისად, ახალი სასწავლო წლიდან პარტიული განათლების სხვადასხვა ფორმაში ჩაბმულია 1.758 კომუნისტი (1.822 კომუნისტიდან, რომელიც ამჟამად ირიცხება რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში). შექმნილია 38 პოლიტსკოლა 685 კომუნისტისათვის, „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი 21 წრე 435 კომუნისტისათვის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 7 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 112 კაცი, საღამოს პარტიული სკოლა—30 კაცისათვის, ორი საერთო განათლების სკოლა 15 კაცისათვის; დამოუკიდებლად მუშაობს 581 კაცი, ამათგან 31 კაცი გაერთიანებულია პარტიის რაიკომთან შექმნილ პარტიულ და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედ სემინარში.

პარტიის რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებებისა და ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარების შედეგად შეუფერხებლად მიმდინარეობს პარტიული განათლების ქსელის მუშაობა. პოლიტსკოლებსა და პოლიტწრეებში ჩაბმული კომუნისტები ბეჯითად მეცადინეობენ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის შეთვისებისათვის.

რაიონული კომიტეტი სისტემატურად ამოწმებს პოლიტსკოლებისა და პოლიტწრეების მუშაობას, საკრებულების მიხედვით საკითხს ვიხილავთ რაიკომის პიეროზე. მაგალითად, ბიეროომ განიხილა ზიდისთვის, ქვეშნბის, თხილაგნის საკოლმეურნეო და ჩაის ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული პოლიტსკოლების, შუაგანახლების და რაიკოოპკავშირის პარტორგანიზაციებთან არსებული საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეებისა და ზოტის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრის მუშაობის საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიება.

სანმეშუშოდ მუშაობს ზემოხსენებული ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლა (პრობაგანდისტი მ. გოგიტაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ნ. სხვეტარიძე). პოლიტსკოლა უზრუნველყოფილია კარგად მოწყობილი ბინით, გათბობით, განათებით, სახელმძღვანელოებით, რეფერატებით, ფანქრებით, თვალსაჩინო მასალებით, არ არის მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები. 25 თებერვლისათვის პოლიტსკოლაში ჩატარებული იყო 24 მეცადინეობა. პრობაგანდისტი ამხ. გოგიტაძე ყოველთვის მომზადებულად მიდის მეცადინეობაზე, აქვს კარგად და მოფიქრებულად შედგენილი გეგმა-კონსპექტი და გადაცემული მასალის შეთვისების შემოწმებისათვის საკონტროლო კითხვები. მსმენელები კარგად ითვისებენ გადაცემულ მასალებს. სკოლის იმ ზოგიერთ მსმენელებთან, რომლებიც შედარებით სუსტუეს ამყოვანებენ სპორგრამთ მასალის თვისებაში, პრობაგანდისტი აწყობს დამატებით მეცადინეობას. პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ნ. სხვეტარიძე სისტემატურად ამოწმებს მეცადინეობაზე მსმენელთა გამოცხადებას და სპორგრამთ მასალის შეთვისების ხარისხს და საჭირო ღონისძიებებს ახორციელებს მეცადინეობის ხარისხის სულ უფრო გაუმჯობესებისათვის.

ასეთი პრობაგანდისტები ჩვენს რაიონში ერთიულები როდია. დაკისრებულ მოვალეობას პასუხისმგებლობით ეკიდებიან და მეცადინეობას მაღალ იდეურ დონეზე ატარებენ პრობაგანდისტები ს. ჯიბლაძე, მ. ხუხუნაიშვილი (ვანახლება), მ. ბურჭულაძე (სამება), ნ. სიხარულიძე, კ. ძნელაძე (საკამისარი), ევ. თოლორდავა (ქვაბლა), გ. მათითაიშვილი (ხიდისთავი) და სხვები.

პრობაგანდისტი პარტიული განათლების ცენტრალური ფიგურაა. ამიტომ პრობაგანდისტებთან მუშაობას რაიონული კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას უთმობს. პრობაგანდისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და პოლიტწრეებსა და პოლიტსკოლებში მეცადინეობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფად პარტიის რაიკომთან შექმნილია პრობაგანდისტთა ორი სემინარი. მათში გაერთიანებულია 66 პრობაგანდისტი. პრობაგანდისტთა უმრავლესობას აქვს უმაღლესი განათლება და პრობაგანდისტული მუშაობის რამდენიმე წლის გამოცდილება. პრობაგანდისტთა სემინარიის მეცადინეობა სისტემატურად ეწყობა. წინასწარ ხდება განხილვა და შესწავლა იმ საკითხებისა, რომლებიც გათვალისწინებულია პოლიტსკოლებისა და წრეების სასწავლო პროგრამებით. სემინარზე წამოჭრილი საკითხების განხილვაში პრობაგანდისტების დიდი უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობს. ეწყობა პრობაგანდისტული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება, სემინარის ხელმძღვანელები ამხ. ა. ცინცაძე და ს. კუკულავა დიდი მონდომებით ეკიდებიან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და კარგ დახმარებას უწევენ პრობაგანდისტებს.

რაიკომის მიერ გამოყოფილია 10 ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, რომლებიც ესწრებიან პოლიტსკოლებისა და წრეების მეცადინეობას. ეს ზრდის პრობაგანდისტებისა და მსმენელების პასუხისმგებლობას სპორგრამთ მასალის დაუფლებისა და მეცადინეობის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

ნორმალურად მიმდინარეობს მეცადინეობა საღამოს რაიონულ პარტიულ სკოლაში. პარტიული სკოლა უზრუნველყოფილია კარგად მოწყობილი ბინით, გათბობით და კვალიფიციურ ლექტორთა კადრებით. პარტიული სკოლის ლექტორები გრ. მამალაძე, ავ. ცინცაძე, ს. ჯიბუტი, ევ. ცინცაძე ენერგიულად მუშაობენ, საფუძვლიანად ამზადებენ ლექციებს.

რაიკომი ნაკლებ მზრუნველობას ჩრდილ ინეს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული კადრებისადმი, რომლებიც მარქსისტულ-ლენინურ თეორიას დამოუკიდებლად სწავლობენ. ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად რაიკომმა გამოყო კონსულტანტები 35 კაცის რაოდენობით. ისინი სათანადო დახმარებას უწევენ კომუნისტებს ლიტერატურის შერჩევაში, მუშობის დაგეგმვაში, პარტიის ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და საერთაშორისო ვითარების საკითხების შესწავლაში.

რაიკომი სისტემატურად აწყობს კონსულტანტთა თათბირებს, ისმენს მათ ინფორმაციებს ჩატარებული მუშაობის შესახებ და აძლევს კონკრეტულ მითითებებს შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლით დაინტერესება დღითიდღე იზრდება, რაც დიდ მოთხოვნებს უყენებს პარტიულ კანონებს.

პარტკანონტმა შესამჩნევად გაუმჯობესა მუშაობა. კანონტს აქვს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების აღრიცხვა იმის აღნიშვნით, თუ რომელი ამხანაგი რა ნაშრომის შესწავლაზე მუშაობს, და მათი მოთხოვნილების გათვალისწინებით ადგენს ყოველთვიურ სამუშაო გეგმას. ამ გეგმის საფუძველზე სისტემატურად ეწყობა კვალიფიციური ლექციები, კონსულტაციები და თეორიული გასაუბრება. პარტკანონტში ყოველდღიურად მორიგეობენ კონსულტანტები. იზრდება პარტიული კანონების წიგნის ფონდი.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პარტიის რაიკომთან შექმნილი პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედი სემინარი. სემინარის მუშაობა წარმოეს რაიკომის ბიუროს მიერ დამტკიცებული კალენდარული გეგმით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სემინარის მუშაობის ხარისხის ამაღლებას. გასულ სასწავლო წელს სემინარის მეცადინეობა თვეში ორჯერ ეწყობოდა. ამიტომ სემინარის წევრთა გარკვეული ნაწილი ვერ ასწრებდა თემების საფუძვლიანად დამუშავებას და დაკონსპექტებას. ეს მხედველობაში იქნა მიღებული. ახალი სასწავლო წლიდან სემინარის მეცადინეობა ეწყობა თვეში ერთხელ, რამაც გაზარდა სემინარის წევრთა აქტივობა და გაუმჯობესა მასალის შეთვისების ხარისხი. სემინარის ყველა მონაწილე შესასწავლ მასალაზე ადგენს კონსპექტს. სემინარის წევრთა დასახმარებლად პარტკაბინეტში ცალკეული თემების მიხედვით ეწყობა ლიტერატურისა და მასალების გამოფენა, ტარდება ინდივიდუალური კონსულტაციები.

პარტიის რაიკომი საჭირო ზომებს იღებს იმისათვის, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ყველა აქტივისტს ჰქონდეს დამოუკიდებლად ფილოსოფიისათვის სათანადო ბაზა, საკუთარი ბიბლიოთეკა და სისტემატურად აესებდეს მას ახალი ლიტერატურით. რაიონის აქტივის დიდ ნაწილს (პროპაგანდისტები, ლექტორ-კონსულტანტები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები) გამოწერილი აქვს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა ტომები.

პარტიული განათლების მოწყობის საქმეში ხაკოვანებებიც გვაქვს. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა და პროპაგანდისტმა ვერ გასწია სათანადო ორგანიზაციული და ახსნა-განმარტებითი მუშაობა. თხლაგნის, ქვეშნბის და ბასილეთის აკოლმეურნეო, ერკეთის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილ პოლიტსკოლებში, ბუჯნარისა და შუაგანახლების ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელ წრეებში იყო მსმენელთა მიერ მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები.

ზოგიერთ პოლიტსკოლასა და წრეში (ზემო ერკეთი, ბუჯისციხე) გადაცემული მასალის შეთვისების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, არასაკმარისად არის გამოყენებული მეცადინეობის დროს თვალსაჩინოება, პრობაგანდისტები დამატებით მეცადინეობას არ ატარებენ იმ მსმენელებთან, რომლებიც უნელდებათ მასალის შეთვისება.

იანეულის, შუა სურების და ზემო სურების ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ახორციელებენ კონტროლს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგებისადმი. მაგ. დასახმარებლად გამოყოფილი კონსულტანტები კ. კობიძე, ბ. ლომინეიშვილი, ი. ასიეშვილი საქმეს მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომი სამეურნეო და კულტურული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. ამხანაგი კ. ჩარკვიანი მიგვითითებს:

„...იმისათვის, რომ სწორად ეუხელმძღვანელოთ, საჭიროა კარგად დავაყენოთ შინაპარტიული მუშაობა, სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის წევრთა თვისობრივი შემადგენლობა, ავამაღლოთ კომუნისტების იდეური დონე და საქმიანი კვალიფიკაცია“.

ამას წინათ ჩატარდა ჩოხატაურის რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შედეგების განხილვას. პარტიული აქტივის კრებამ, რომელიც კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პარტიული პროპაგანდის საკითხებს, შექმნა ერთიანი პარტიული აზრი პარტიული განათლების საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. რაიონში წარმოებული მთელი პროპაგანდისტული მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელების კონკრეტულ ამოცანებთან.

ჩოხატაურის რაიონის ბოლშევიკები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ კ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმე დააყენონ მოწოდების სიმაღლეზე და უზრუნველყოფ XIV ყრილობის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რაიონის წინაშე მდგომი ამოცანების ბოლშევიკურად შესრულება.

**შ. ჭანუყვაძე

იტალიის დეპუტატთა პალატაში

ტოლიატის გამოსვლა

რომი, 17 მარტი. (საკ.ფსი). ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მდივანი ჯუზეპე კალეფ დეპუტატთა პალატის სხდომაზე მთავრობის სგიერო პოლიტიკური დეკლარაციის გამო გამართულ დისკუსიაში ططიერ ბრალდება დაიმტკიცებინა, თითქოს იტალიის პარტი ფქნენ „ორა ომისათვის", არამედ „ეროთერიოდამბარებისათვის", და რომ იტალიის მთავრობა ოთხ თვის გამსტვალულია შშვიდობიანი განზრახვით და იტალიელის პარტში მონაწილეობით „შეიდობის საქმეს" დიიკავს.

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე უგო ლა მალფა ეუბა-დდიგანა ასსამდი „მარშალის გეგმას" და იტალიელის პარტს.

ლიბერალი ჯეიოლითმა ბელეკანტა მოუწოდებდა იტალიელის პარტს მიეხრეთო.

ფუპტატმა ანტონიო ჯოლიტიმ (ომენსტატ) ამხილა სიცრეე, რასაც იტალიის მთავრობამ მიმართა, რათა იტალია ინფლიანამერიკის სამხედრო კავშირში ჩაეთრა. 4 დეკემბერს, ვაშინგტონს სფორეკას მემორანდუმის გიგზავნის წინა დღეს, მემორანდუმისა, რომელიც შეიცავდა თხოვნას ამერიკის ინტელიის მიღების შესახებ, ეე გასაჯრიმ პარლამენტში განაცხადა: „ჩვენ არ ეთხოეულობთ იტალიელის პარტში მონაწილეობას და მოლაპარაკებას არ ვეუწყდით ამ საკითხზე".

მაგრამ სწორედ იმ დღეებში, მოაგონა სხდომას ანტონიო ჯოლიტიმ, გენერალი მარასი ამერიკელებს ეთხოვა ეეთხოვნენ ანკონის ნახევარკუნძულზე სამხედრო ბაზების სთავაზობდა.

„იტალიელის პარტის ფაქტისადმი ნასაალთა,—განაცხადა შემდეგ ჯოლიტიმ,—ითქმი მტკიცდება, რომ იგი თანმიმდევრულად გამოძღინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ანტისაბჭოთა პოლიტიკიდან, რომლის მოკნებიცაა: მარშალის გეგმა, ბრიუსელის პაქტი, ეეროს ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაცია, „ევროპის ერთიანობა" და, ბოლოს, სამხედრო-პოლიტიკური იტალიელის კავშირი, შეესებეთ ისეთი დაჯგეფებები, როგორიცაა რიო-დე-ჟანეიროში დადებული პაქტი და ატლანტიკა ბელეკის შეკრნენ ეეს.

„ეს ფაქტები მოწმობენ სიბეთთა კავშირისა და სამხედრო დემოკრატიის ქვეყნების გარშემო სტრატეგიული საფრთხის შექმნის და სრულიადაც არა თავდაცვითი ხაზის შექმნის.

იტალიელის პარტი იტალიის შეუვანა მხოლოდ ხაზგასმით აღნიშნავს ამ პაქტის აგრესიულ ხასიათს. დე გასპერის მთავრობა, იზიარებს რა ამ პოლიტიკას, გარდა ამისა, ხდება ნაციონალის აღორძინების თანამონაწილე, ვინაიდან ამერიკის პოლიტიკა მიმართულია დასავლეთ გერმანიის, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის ძირითადი პლაცდარმის. სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის განმტკიცებისაკენ".

„იტალიელი ხალხი,—განაცხადა დასასრულ ორატორმა,—დაიკავე თავისი კერის შეიდობას და ნებას არავის მისცემს თავს მოახვიონ ომი".

საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა სფორკამ, რომელის ეროკეი გამოსვლა ალსავსე იყო ანტისაბჭოთა გამოხდომებით, სიტყვა დაამთავრა პარლამენტისადმი პეთეტკერეი მოწოდებით —ხმა მისცეს იტალიელის პაქტს.

დასასრულ სხდომაზე ეკეი სიტყვა წარმოთქვა ბალმორო ტოლიატიმ. მან განაცხადა, რომ ოფოზიციის მიზანია განუმტკოს ატლანტის არა მარტო საბჭოთა კავშირის მნიშვნელობა, არამედ აგრეთვე იმ ნაბიჯებისა და გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა, რომელთაგან იტალიის თავისოთა ხალხს.

ატლანტიკის პაქტი, თქვა ტოლიატიმ, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების თავისოთის მიერ მოწოდები საგარეო პოლიტიკური შეთანხმება, რაც პაქტს წინ უსწრებდა, გავრთიანებული ერების ორგანიზაციისათვის პირდაპირ ძარის გამოხსნას წარმოადგენს. ბაგრამ ჯერ კიდევ ვერავინ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ბერლინის აღების შემდეგ თუნდაც ოდნავ გადასცდენოდა ის ხაზს, რომელიც ბულისსმოს სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების შეიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას და, მაშასადამე, ომის თავიდან აცილების შესაძლებლობას.

ხალმარო ტოლიატიმ მთავრობის მოაგონა, რომ იტალიელების პაქტისადმი მიმხრობა არ შეესაბამება იტალიის კონსტიტუციას, რომელიც კრძალავს სამხედრო კავშირების შექმნას. გასული წლის 18 აპრილის არჩევნების გამო ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც სათავეში უდგას იტალიის იხლანდელ მთავრობას, ამომრჩეველთა წინაშე საზეიმოდ აღიარ ვალდებულება არ დაეკისრებინა იტალიათვის სამხედრო პირობები და არ ჩაეთრია სამხედრო ბლოკებში.

მაშ იკითხეთ, განაგრძო ტოლიატიმ, მიმართა რა ბალეის უმრავლესობას, რომ ამ ეტაპზე, რომელსაც თქვენ გამოიტანთ, — და ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ თქვენ მას გამოიტანთ, — ჩვენ არ ეცნობთ, ჩვენ მიგმართავთ ხალხს და ვეტყვით, რომ მას უფლება აქვს, რომ იგი მოვლეა არ ცნოს თქვენი გადწყვეტილება.

„ვახსოვდეთ,—განაგრძო მან,—რომ, თუ ლაბორატორ ჩამოვარდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომზე, ეს ომი არ მოხდება, ვინაიდან ამას იტალიელი ხალხი არ დაუშვებს. მილიონობითი და მილიონობით მშრომელი უარს იტყვის ამაზე, რომ აწარმოოს ეს ომი.

კომუნისტებმა ამოიცანა დღეს ის არის, რომ თავიდან აეგვიშორინ ეს ომი და იხსნან შვილიდან. ჩვენ დავიხსნიდით, თუ როგორ დაირაზეკა შვიდობის დიდი ფრონტი ყველი ომთ გარშემო, ვინაც თქვენს სამხედრო პოლიტიკას უარყოფს. ამიტომ ჩვენ უარეყოფთ ატლანტიკის პაქტს, უარეყოფთ საერთაშორისო ინტრიგის პოლიტიკას, უარეყოფთ ამ თავიდან აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც მომართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

იტალიელი ხალხი უარყოფს ატლანტიკის პაქტს

რომი, 17 მარტი. (საკ.ფსი). მთელ იტალიაში სულ უფრო ფართოდ ჩაფდება ხალხის საპროტესტო მოძრაობა ატლანტიკის პაქტისადმი. იტალიის მიმრობის წინააღმეგ. ბოლოს ყველ დიდ საწარმოში 16 მარტს მუშაობა შეწყდა. მუშაობის შეწყვეტის დროს მოეწყო საპროტესტო მიტინგები ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ. დიდგაქალების საწარმოთა ყველა შინასაკარხნო კომისია მიემხრო იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ალმასკომის მანიფესტს.

რომის საწარმოთა შინასაკარხნო კომისიების ასამბლეის წარადგინეთ რომის შრომის პალატის სამდივნომ გადაწყვიტა 17 მარტს დედაქალაქის ყველა საპრეფექტო საწარმოში გამოაცხადოს ერთი საათის საპროტესტო გაფიცვა, როგორც თავიდრის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრალეული პირველი კოლექტიური ლონისძიება. საქალაქო ტრანსპორტი მეშაობას 15 წუთით შეწყვეტს.

გუშინ და დღეს რომის ყველა ბაზარში მოეწყო საპროტესტო დემონსტრაციები ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ. კინოთეატრებში ერეკლდებოდა ფურცლები ომისა და ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ.

რა კი ეშინოდათ, რომ სახალხო დემონსტრაციები ფართო ხასიათს მიიღებდა, საბრძოლველად გამზადებულმა პოლიციის რაზმებმა დიაკავეს ქუჩები და მოედნები პარლამენტის გარშემო, სადაც გრძელდება განხილვა საკითხისა ატლანტიკის პაქტისადმი იტალიის მიმხრობის შესახებ.

რომს ჩამოვიდა მილანის დელეგაცია, რომელიც წარმოადგენს 200 ათას მეტალურგს. დელეგაციამ ინახულა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე გორინი და სენატის თავმჯდომარე ბონომი და გადასცა მათ პროტესტი ატლანტიკის პაქტისადმი იტალიის მიმრობის წინააღმდეგ. ამ დელეგაციის შემადგენლობაში იყო ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ორი მუშა.

ფაბრიკა „ფინეტტის" (მილანი) მშრომელებმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს იტალიაში: „შეატყობინეთ თქვენს თავისრობას, რომ ფაბრიკა „ფინეტტის" მშრომელები იტალიანის პაქტის—ომის პაქტის წინააღმდეგი არიან. ჩვენ თავიდრობის ხელშეწერას ნამდვილად არა ვეწინააღმდეგ. ჩვენი ხელშეწერა არასოდეს არ იქნება ამ პაქტზე".

პაციაში ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ შედგა სპეციალური მიტინგი, რომელშიც 30 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. ფლორენციაში ქალებმა მოაწყეს დემონსტრაცია ომის მზადების წინააღმდეგ. ტოსკანის ბევრ სამრეწველო ცენტრში საპროტესტო გაფიცვა მოხდა. სალერნოში, ბარსა და პალერმოში მოწეეულ იქნა სახალხო მიტინგები ატლანტიკის პაქტისადმი იტალიის მიმხრობის წინააღმდეგ.

გაზეთ „ავანტის" მიერ გამოქვეყნებულ კომენიკეში იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ მიმართა ყველა ორგანიზაციას და მოუწოდა—19 და 20 მარტს მოიწეოონ მიტინგები და მოაწყონ დემონსტრაციები ატლანტიკის პაქტისადმი იტალიის მიმხრობის წინააღმდეგ.

საბჭოთა ქალების დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 17 მარტი. (საკ.ფსი). საბჭოთა ქალების დელეგაციამ, რომელიც ლონდონს ეწოფოვნა ქალთა საერთაშორისო დღის მოწეწყობი ეროვნული კომიტეტის მოწვევით, დაათვალიერა რამდენიმე საწარმო, სკოლა, საავადმყოფო, აგრეთვე შუშათა ბინები.

საბჭოთა ქალების დელეგაციის ჩამოსვლა დიდ ინტერესს იწვევს ინგლისელ უბრალო ხალხში. მუშები, დისანლისები, მოსამსახურეები, ახალგაზრდობა მრავალ კითხვას აძლევენ დელეგაციის საბჭოთა კავშირის ცხოვრების, მისი სამშვიდობო შეწინააღმდეგობის შესახებ. საუბრებში ისინი არწმუნებენ საბჭოთა ქალებს, რომ ინგლისელი ხალხი მეგობრულად ეპყრობა საბჭოთა ხალხს და მონაწილეობას არ მიიღებს მის წინააღმდეგ ომში, რომელსაც იმპერიალისტები აშზადებენ.

სტეპნეი (ლიმასაღეთი ლონდონი) რაიონის მკერავთა პროფკავშირის აქტივის კრებაზე საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლების ზეიმევასა და კეზნესკოს გამოსვლების შემდეგ სტეპნეი რაიონის მკერავთა კავშირის მდივანმა ფაინმა თავის სიტყვაში თქვა, რომ ინგლისელ ხალხს არა სურს ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, მას სურს განამტკიცოს მასთან მეგობრობა. ჩვენ ვთხოვთ საბჭოთა ქალების დელეგაციას, — განაცხადა ფაინმა, — გადასცეს საბჭოთა ხალხს, რომ ინგლისელი დიპლომატები და ინგლისელი ხალხი ორი სხვადასხვა მოეკლესა. როდესაც დიპლომატები ლაპარაკობენ, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი გამოხატავენ ინგლისელ უბრალო ადამიანთა აზრებსა და გრძნობებს. ინგლისში სურს ხალხს თავი გამოუტანონ ყოველგვარი პროპაგანდით, მაგრამ მოტყუება არა ისე ადვილია.

ქალთა საერთაშორისო დღის მომწყობ ეროვნულ კომიტეტში მოხდა საბჭოთა ქალებისა და ინგლისელ ქალთა იმ ორგანიზაციების წარომომადგენლების შეხვედრა, რომლებიც ამ კომიტეტში შედიან. ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პოლონელი და ფრანგი ქალების დელეგაციებმა.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინგლისური სექციის მდივანმა მოლი კეიტმა, რომელიც საბჭოთა დელეგაციას მიეგება, აღნიშნა საბჭოთა ქალების უდიდესი როლი მშვიდობისათვის ბრძოლაში.

კეიტმა მოუწოდა — მიემხრონ მშვიდობის დამცველ-ეროტრულ მოღაწეთა ეროთერთობა საერთაშორისო კომიტეტისა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის წინადადებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ.

ჩვენ ენდა მოეთხოვოთ,—თქვა მან,—რომ ინგლიისა თავისი დელეგაციი გაგზავნოს ამ კონგრესზე.

მანქანათმშენებელთა ფიერთიანებული კავშირის წარმომადგენელმა ქალმა სტოფორტმა გააცხადა, რომ ინგლისელ ქალებს სურთ სიმართლე იცოდნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ინგლისში პრესა და რადიო მხოლოდ ამერიკაზე ლაპარაკობენ. სტოპფორტმა მოუწოდა — განამტკიცონ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ერთიანობა.

საბჭოთა სოციალისტური პარტიაში შექმნილი მდგომარეობისათვის

პარიზი, 16 მარტი. (საკ.ფსი). სოციალისტური პარტიის ქალაქ კე-ლეზ-იველნის (სენაისა და უაზის დეპარტამენტი) სექციამ გუშინ შემდეგი განცხადება გააკეთა: „კე-ლეზ-იველნის სოციალისტური სექციამ ორი ხმის გამოკლებით, გადაწყვეტა გამოიდგეს პარტიიდან, რომელიც უარს ამბობს სოციალისტურ პრინციპებზე და მუშათა კლასის ინტერესებს საწინააღმდეგო პოლიტიკას ეწევა.

ამასთან დაკავშირებით ბეულწრფელი სოციალისტური პარტიის ბრძოლამბარ ბერნოლინ კაპიტალისტის მოსაბიია და შეიდობის ხსნისათვის.

ბეულწრფელი სოციალისტებმა მენიციპალური არჩევნებში ხმა უნდა მისცენ კომუნისტური პარტიის კანდიდატს ამბანგ გოტიეს, რომელის კანდიდატურასაც ბჯარს უეჭველ უნამარული სოციალისტური პარტია".

ამერიკის იუსტიციის თვითნებობა

ნიუ-იორკი, 16 მარტი. (საკ.ფსი). ამერიკის ხელისუფალნი კვლავ უხეშ თვითნებობას იჩენენ უკანონოდ დაპატიმრებულთა საბჭოთა დიპლომატების ვ. ა. გუბიჩევის მიმართ და ცდილობენ ამერიკის იუსტიციის მიერ საპროცესო წესებების მოჩვენებითი დაცვით დაფარონ თავიანთი უკანონობა და საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმების დარღვევა.

14 და 15 მარტს ვ. ა. გუბიჩევი ორჯერ მიიყვანეს საპყრობილიდან სასამართლოში.

14 მარტს სხდომის დაწყებისას ჰამლეტონმა, რომელიც მოსამართლე რიფკინდმა გასცა კეთრაში ვ. ა. გუბიჩევის დამცველად დანიშნა, განაცხადა, 12 მარტს მე და გუბიჩევმა ყველა განკუფხილი მფარამორება და გუბიჩევმა მითხრა, დამცველი არ მესაჭიროება, რადგან ვფიქრობ, რომ დიპლომატიური იმუნიტეტით ვსარგებლობო.

როცა ჰამლეტონმა სიტყვა დაამთავრა, ვ. ა. გუბიჩევმა დაგმო დაპატიმრება და მთელი სასამართლო პროცედურა, რომელიც მის მიმართ მიმდინარეობს. გუბიჩევმა გამეორა, რომ თვითეგებობა, რასაც მისდამი იჩენენ, პროვოკაციაა, რომელსაც ეწევიან საბჭოთა კავშირისადმი მტრული პროპაგანდის მიზნით.

გუბიჩევმა სასამართლოში ყველა გამეორა, სასამართლოს უფლება არა აქვს დაიწყოს ეს საქმე ჩემი დიპლომატიური სტატუსის გამოო.

„ჩემი აზრით,—განაცხადა გუბიჩევმა,—ეს სასამართლო გარჩევა, ისევეე, როგორც ჩემდამი მოპყრობისა მეთოდები, მმართველთა ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ. ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ ეწევიან პროპაგანდას, რომლის ერთადერთი მიზანია ჩემი ქვეყნისადმი მტრული გრძნობის გაღვიძება".

გუბიჩევმა მოაგონა სასამართლოს, რომ ამერიკის მთავრობამ ცნო მისი დიპლომატიური იმუნიტეტი მისთვის დიპლომატიური ეიზის მიცემით, და თქვა: „პროკურატურ ეაცხადებ დაპატიმრების მეთოდების წინააღმდეგ, რომელნიც ჩემდამი გამოიყენეს, როცა ქუჩაში შემაჯარეს და რაიმე ორიერიც ეი არ წარმოუდგენიათ. ჩემ მიმართ გამოყენებული მეთოდი მოწმობს, რომ ეს სასამართლო გარჩევა უბრალო კომედიაა". „მე ეფერ ჩემს,—თქვა გუბიჩევმა, —რომ ჩემი დაპატიმრება სრულიად უკანონოა, ხოლო ჩემი უფლებანი დარღვეულია, უფლებანი, რომლითაც ჩვეულებრივ უფლებებად არის აღიარებული ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში. მე არ ვიცნობ ამერიკის კანონებსა და ამერიკის კონსტიტუციას, მაგრამ ვიცნობ ჩემი ქვეყნის კანონებს, ვიცი, რომ ჩვენ უცხოელ დიპლომატებს ისე არ ეეპყრობიან, როგორც თქვენ აქ სარდობართ. აქ გამოყენებული მეთოდები შეა საფუძველებისა და ინკვიზიციის მეთოდებია".

მოსამართლე რიფკინდმა თავის პასუხში სადაც დაიცვა სასამართლოს მეთოდები. მან განაცხადა, გუბიჩევი, რომელიც ამტკიცებს, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს დაიწყოს ეს საქმე, შესაძლოა მართალი იყოს, შესაძლოა არც იყოს მართალი.

შემდეგ რიფკინდმა სთხოვა გუბიჩევს, ხომ არ სურს მას დამცველად ჰამლეტონი აიყვანოს, ან რომელიმე სხვა ადვოკატი დანიშნოს, და ამ საკითხის შემდგომი განხილვა 15 მარტის დილამდე გადადო.

სასამართლოს 15 მარტის დილის სხდომაზე ვ. ა. გუბიჩევმა უარი თქვა აეღო სიტყვა მისთვის წაყენებულ ბრალდებაზე პასუხის გასაცემად. მოსამართლემ განკარგულება გასცა, რომ სასამართლოს მდივანს ვ. ა. გუბიჩევს ეს უარი ოქმში შეეტანა როგორც პასუხი: „დამნაშავე არა ვარ" და შემდეგ გასამართლება დანიშნა პირველი აპრილისათვის.

სხდომის დასაწყისში მოსამართლემ, რომელიც კვლავ თავს იხვევდა „დამცველ" გუბიჩევს, დაადგა კითხვა, აპირებს თუ არა ვ. ა. გუბიჩევი ადვოკატად მიიღოს ჰამლეტონი, რომელიც მან წინასწარ შეუთავაზა. გუბიჩევმა უპასუხა: „მე მთელი საქმე მომაჩნია პროვოკაციად, აშკარა პროვოკაციად, რომელიც წამოწყებულია ბინძური სპეკულიური პოლიტიკური მიზნით—ალერან ამერიკის შეერთებულ შტატებში სურ კაეშირისადმი არაკეთილგანწყობის გრძნობა. ჩემი დიპლომატიური სტატუსისა და იმ ფაქტის გამო, რომ „დამნაშავე ორიფერში ვარ, უარს ვამბობ დამცველზე".

რიფკინდი, რომელიც მოგონა სასამართლო, ოთხ გასულ კვირაში გუბიჩევმა განაცხადა, სასამართლო უფლებამოსილი არ არის ეს საქმე გადაწყვეტოსო, ამტკიცებდა, რომ არა ვის არ გუეკეთებია რაიმე ოფიციალური განცხადება, რომელიც საეჭვო ხდიდეს სასამართლოს იურისდიქციას, რომ მხოლოდ „მოსამართლეები არიან ეუფლებამოსილნი ასეთი განცხადება გააკეთონო. მოსამართლეს სთხოვა ადვოკატ ჰამლეტს ეკისრა ეგრეთ წოდებული „სასამართლოს მეგობრის" როლი და წარმოდგენა სასამართლოში რაიმე ცნობები, რომლებიც საფუძვლად დადებოდნენ გადაწყვეტილების გამოტანის ამის შესახებ, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი განხილოს ეს საქმე.

ამერიკელ ხელისუფალთა უხეში თვითნებობა გრძელდება

ნიუ-იორკი, 12 მარტი. (საკ.ფსი). ამერიკის ხელისუფალნი განაგრძობენ უკანონოდ დაპატიმრებული, შეერთებულ შტატებში ამერიკის შეერთებული შტატების თანამობის მიერ გაცემული დიპლომატიური ეიზით ჩამოსული ვ. ა. გუბიჩევის დიპლომატიური ხელშეუხებლობის დარღვევას. გუშინ გუბიჩევი აიძულეს წარმოდგარიყო ფედერალური სასამართლოს წინაშე.

ხელისუფლებმა გუბიჩევი სასამართლოს დარბაზში ხელბორკილებიანი მიიყვანეს. გუბიჩევმა მკაცრად მიუთითა სასამართლოს თავისი დაპატიმრების უკანონობაზე, მოაგონა, რომ იგი სარგებლობს დიპლომატიური ხელშეუხებლობით და თავისი დაპატიმრება დაახასიათა, როგორც პროვოკაცია, რომელიც ისახავს გარკვეულ მიზნებს.

გენერალ კლეის ახალი მუქარა

ბერლინი, 17 მარტი. (საკ.ფსი). 15 მარტს მაინის ფრანკფურტში შედგა პოეს-კონფერენცია, რომელზეც გამოვიდა ამერიკის სამხედრო გუბერნატორი გენერალი კლეი. ადნის საკენტოს ცნობით, კლეიმ ბრესლა წარმომადგენლებს განუცხადა, რომ თუ ეგრეთწოდებულმა „საპარლამენტო საბჭომ" ცვლილებები არ შეიტანა კონსტიტუციაში დასავლეთ სახელმწიფოების კონტროწინადადებათა შეკიბამისად, ეს განხილული იქნება რეფერად ამ სახელმწიფოთა მიერ მიღებული ინსტრუქციების დარღვევა.

კლეიმ დამსწრეთ აგრძნობინა, რომ „საპარლამენტო საბჭომ" ბოშმი რაც შეიძლება მალე უნდა დაამთავროს მუშაობა კონსტიტუციის შესამუშავებლად და არ დაელოდოს „საოკუპაციო სტატუტის გამოქვეყნებას".

თვითე საგანგებო განცხადებაც გააკეთა, ეს ეს ... ...